

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
„საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“



საკონკურსო დოკუმენტაცია

სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო"-ს ადმინისტრაციული შენობის
საუკეთესო ესკიზის გამოვლენის და შემდგომში გამარჯვებული
კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული სამშენებლო
(არქიტექტურული, საინჟინრო და სახარჯთაღრიცხვო) დოკუმენტაციის
მომზადების შედეგაზე

ქ. ბათუმი

2014 წ.

სარჩევი

საკონკურსო განცხადება	2
საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა	3
კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია	4
შენობის მნიშვნელობის მოკლე აღწერილობა	6
ტექნიკური დავალება	7
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	9
ხელშეკრულების საერთო პირობები	14
დანართი №1 რეკვიზიტები	21
დანართი №2 ფართის გადანაწილება	22
დანართი №3 კონკურსანტის გამოცდილება	27
დანართი №4 ფოტომასალა	29

საკონკურსო განცხადება

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ქ.ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ/ 05.29.05.002) ასაშენებელი სსიპ "საზღვაოტრანსპორტის სააგენტო"-სადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული სამშენებლო(არქიტექტურული, საინჟინრო და სახარჯთაღრიცხვო) დოკუმენტაციის მომზადება.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 40,000 (ორმოცი ათასი) ლარს.
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (<http://procurement.gov.ge>).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.
9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2014 წლის 18 ივლისი 11:00 საათზე.
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 8 აგვისტოს 17:00 საათზე.
11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2014 წლის 8 აგვისტოს 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე : ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ.№23.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
13. ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება -ჩაბარების აქტისა და ანგარიშგაქტურის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.
14. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდოს შენობისა და გარე ტერიტორიის ესკიზის შესაბამისად შედგენილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია „მშენებლობის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით განსაზღვრული წესის დაცვით, რათა შემდგომში უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემა.
15. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია პროექტის დასრულებამდე გასწიოს საპროექტო ზედამხედველობა მშენებლობის პერიოდის განმავლობაში.

საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა

1. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
 - ესკიზი და საორიენტაციო პროექტი : კოეფიციენტი - 0.5
 - საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი - 0.2
 - კონკურსანტის გამოცდილება - 0.3
2. შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
3. გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონკურსანტი, თუ საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება 7 ან 7 ქულაზე მაღალი ქულა. ასეთ კონკურსანტთან გაფორმდება ხელშეკრულება. ქულათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია.

დიზაინის საორიენტაციო პროექტის შესაფასებლად:

- შენობის 3D ვიზუალი (რენდერი); შენიშვნა: ფასადზე არ უნდა იყოს ხილვადი კონდიციონერების აგრეგატები;
- გეგმები სართულების მიხედვით;
- ფასადები და ჭრილები;
- შენობისა და ტერიტორიის პროექტში გამოყენებული მასალების ანოტაცია (ფერისა და სხვა პარამეტრის მითითებით)
- განმარტებითი ბარათი (არაუმეტეს სამი გვერდისა), მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროექტის კონცეფცია;
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმა;
- ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმა საკადასტრო საზღვრების ჩვენებით;
- გენერალური გეგმა საკადასტრო საზღვრებისა და მიმდებარე განაშენიანების ჩვენებით;
- შენობა ნაგებობების ტექნიკური მაჩვენებლები;
- ტერიტორიის კეთილმოწყობის (გამწვანება, განათება, მისასვლელი ბილიკები, პარკინგი და ა.შ.) კონცეფცია;
- სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა არაუმეტეს 1,200,000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარის ოდენობით.

ზოგადი ინფორმაცია

- რეკვიზიტები დანართი №1-ს შესაბამისად;
- საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით);
- ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ;
- პრეტენდენტის მიერ დაპროექტებული შენობა-ნაგებობების ფოტო-მასალა და ამასთანავე შესაბამისი მშენებლობის ნებართვის ასლები დანართი #3-ის შესაბამისად;
- დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი A3 ვერსია ფორმატზე, 3 ეგზემპლარად; CD-ვერსია PDF- ფორმატში - 3 ეგზემპლარად, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგ-ს;
- კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

შენიშვნა:

1. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
2. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები რენდერებში, ესკიზებში და ნებისმიერ დოკუმენტაციაში თავისი შეხედულებისამებრ.
3. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.
4. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირებისგან :

1. ვახტანგ მიქელაიშვილი - ტელეფონი: 591 11 99 77
2. თამარ თავართქილაძე - ტელეფონი: 591 22 88 22.

შენობის მნიშვნელობის მოკლე აღწერილობა

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო წარმოადგენს საქართველოში საზღვაო სფეროს მარეგულირებელ ექსკლუზიურ სახელმწიფო ორგანოს, რომელიც შედის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში.

საქართველოს გააჩნია უმდიდრესი საზღვაო ისტორია. საქართველოში საზღვაო სფეროს შესახებ უძველესი მონაცემები ჯერ კიდევ არგონავტების პერიოდს უკავშირდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ მსოფლიოში პირველი ნავთობმზიდი ტანკერი ბათუმის ნავსადგურში დაიტვირთა.

ამჟამად საზღვაო სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატება ასახულია ქართველი მეზღვაურებისათვის ევროპულ გემებზე დასაქმების შესაძლებლობის მოპოვებასა და ქართული საზღვაო დროშის ნაცრისფერ სიაში გადასვლაში.

სწორედ ზემოაღნიშნული წარმატებული რეფორმების უკეთ გაგრძელებისა და უფრო მეტი წარმატების მიღწევის მიზნით გადაწყდა ეროვნულ საზღვაო ორგანოს ჰქონდეს უახლესი სტანდარტების შენობა, რომელიც შეესაბამება იმ გამოწვევების ხარისხს, რომლის წინაშეც საზღვაო ტრანსპორტის დარგი დგას.

შენობის კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს და ასახავდეს მიღწეულ წარმატებებს და შეესაბამებოდეს სამომავლოდ გაზრდილ მოთხოვნას ამ სფეროში მომსახურების მიღების მიზნით, მათ შორის 24 საათიანი მომსახურების მიწოდების პირობებს.

სააგენტოს ახალი შენობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იყოს სააგენტოს კორპორატიულ ფერებში (ლურჯი, თეთრი და წითელი). შენობა არქიტექტურულად უნდა შეესაბამებოდეს მისი განთავსების რაიონს, ხოლო არქიტექტურულად უნიკალური სტრუქტურა სამომავლოდ ბათუმის, როგორც უმთავრესი საზღვაო ქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად უნდა იქცეს.

შენობის გეგმარება ასევე უნდა ითვალისწინებდეს საქართველოში პირველი საზღვაო მუზეუმის დაფუძნების შესაძლებლობას.

ტექნიკური დავალება

ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ, სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო"-ს შენობისა და გარე ტერიტორიის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე სრული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

მიწის ნაკვეთის საერთო ფართი -1,326 კვმ

შენობის სავარაუდო ფართი - 1,300-1,500 კვ.მ.

სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო"-ს შენობის სამშენებლო-სარემონტო და გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1,200,000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარს.

თანდართული დოკუმენტაცია:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას 45 (ორმოცდაოთხი) კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს შენობისა და გარე ტერიტორიის ესკიზის შესაბამისად შედგენილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია „მშენებლობის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით განსაზღვრული წესის დაცვით.

შენობის საპროექტო სამუშაოები:

1. არქიტექტურული პროექტი მათშორის ვერტიკალური დაგეგმარებით;
2. კონსტრუქციული პროექტი;
3. სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა
4. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი და კალენდარული გრაფიკი.
5. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის დასკვნა;
6. ტექნოლოგიური პროექტი
7. ტერიტორიის სამუშაოები:
 - ა. ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია;
 - ბ. არქიტექტურული პროექტი;
 - გ. სანტექნიკური პროექტი;
 - დ. გარე ელ.ქსელის პროექტი;
 - ე. დენდროლოგია.
8. საინჟინრო კომუნიკაციების პროექტი :

- ა. ცივი და ცხელი წყლის მომარაგების პროექტი;
- ბ. შიდა კანალიზაციის პროექტი;
- გ. გათბობა-გაგრილების ცენტრალური სისტემის პროექტი (გათბობა გაზზე მომუშავე ქვაბით, გაგრილება სამაცივრე დანადგარით - ჩილერით)
- დ. ძალოვანი ელ.ქსელის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ავარიული ელექტრული კვების დანადგარი საჭირო კომუნიკაციებით (გაგრილების მიზნით ცივი წყლის სისტემასთან და საწვავის ავზთან);
- ე. სუსტი დენის პროექტი;
- ვ. სახანძრო;
- ზ. უსაფრთხოება;
- თ. სატელეფონო;
- ი. აი-ტი;
- კ. გაზი;

შენიშვნა:

ა) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე 5 ეგზემპლარად.

ბ) CD-ვერსია (ელექტრონული)PDF- ფაილის სახით 5 ეგზემპლარად

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული ყველა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები გარდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელისა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

კონკურსი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ----- 2014 წ.

ერთი მხრივ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.23 (შემდგომში „შემსყიდველი“)

(შემსყიდველის დასახელება, იურიდიული მისამართი და ფაქტიური მისამართი)

და მეორე მხრივ - „-----“, მის -----

(შემდგომში, „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება, იურიდიული მისამართი და ფაქტიური მისამართი)

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა კონკურსი:

(სამუშაოს მოკლე აღწერა)

და მიიღო მიმწოდებლისაგან საკონკურსო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე:

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება:() ლარი (გადახასიახადების ჩათვლით).

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“)

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის გამყოფელ ნაწილს, კერძოდ:
 - ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
 - ბ) მიმწოდებლის მიერ წაემოდგენილი საკონკურსო წინადადება;
 - გ) შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადები;
 - დ) ტექნიკური პირობები;
 - ე) ხელშეკრულების საერთო პირობები;
 - ვ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვამდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ძემოადნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი ორგანიზაცია: მიმწოდებელი ორგანიზაცია:

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ.23 (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორე მხრივ - „-----“, მის -----

(შემდგომში, „მიმწოდებელი“)

2. ხელშეკრულების საგანი:

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს

ხელშეკრულების ღირებულება: ----- ლარი

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. კონტროლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ: ფაქტიურად მიწოდების ვადა , ფორმა და ხარისხი.

- 3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- 3.3. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
- 3.4. შემსყიდველი ან მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი;
- 3.5. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ სერჩეული ინსპექტირების ჯგუფის მიერ დადასტურებული აქტი. ინსპექტირების ჯგუფი:

4. სამუშაოს შესრულების პირობები

- 4.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
- 4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახლით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის მიზეზების მითითებით.
- 4.4. შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადა: ხელსეკრულების გაფორმებიდან -----დღე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. შესყიდვის ობიექტი (სამუშაო) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;
- 5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისა საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
- 5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებები;

6. ანგარიშსწორება

- 6.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.
- 6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება, შესყიდვის ობიექტის შესრულების შემდეგ კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენით ----- დღეში.

7. გარანტიის.

7.1. არ ვრცელდება

8. ფასები

8.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ჩააბაროს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.2. მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაგამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან მიმართებაში.

9.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.

9.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის რაოდენობის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების გაფორმების პროცესში მხარეთა შორის სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საქართველოში დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. არ გამოიყენება

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 12.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
- 12.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
- 12.3. შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

13. დამატებითი პირობები

- 13.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, რის თაობაზეც მიმწოდებელს არ ექნება პრეტენზია იმ შემთხვევაში თუკი შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს შეცვლილ ღირებულებას;
- 13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;
- 13.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;
- 13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება;
- 13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელშეკრულების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას;
- 13.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შამეყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“;
- 13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

შემსყიდველი ორგანიზაცია:

მიმწოდებელი ორგანიზაცია:

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენენ დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას. ნებისმიერი განსხვავებული პირობების და დამატებითი ინფორმაცია უნდა იყოს შეტანილი მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ „(შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებები.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“ „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „შესყიდვის ობიექტი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. სტანდარტები

- 2.1. ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

3. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებები

- 3.1. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ დავალებაში ასახული შესაბამისი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, მათ შორის შესყიდვია ობიექტის პერიოდული ინსპექტირება.
- 4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
- 4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედაგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. შესყიდვის ობიექტის შესრულების პირობები

- 5.1. შესყიდვის ობიექტის შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით. ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადაში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.
- 5.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 6.2. შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 6.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 6.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვის ობიექტის ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.
- 6.5. შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის შედეგები იყო დადებითი.

7. გარანტია

- 7.1. მიმწოდებელი იძლევა შესრულებული შესყიდვის ობიექტის საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.
- 7.2. ამ გარანტიის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით.
- 7.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
- 7.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

8. ანგარისწორება

- 8.1. ანგარისწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.
- 8.2. მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

- 9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).
- 9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საკონკურსო დოკუმენტაციასში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

- 10.1. მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული შესასრულებელი შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, ან ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებულ შემთხვევაში და ზომით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

- 11.2. თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
- 11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

- 12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბკონტრაქტორები

- 13.1. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.
- 13.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
- 13.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების სეფერხება

- 14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 15.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიაღება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო, (გარადნტირების მექანიზმის გამოყენება სავალდებულოა თუ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება 200 000 ლარს და გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ტანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
- 15.3. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

16. ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 16.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.
- 16.2. საჯარიმო სანქციების გარდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 17.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
- 17.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
- 17.3. ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
- 17.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

- 17.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე: ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში; გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება; დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 17.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება

18. ფორს-მაჟორი

- 18.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
- 18.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარგაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 18.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გადაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 19.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიანმასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წაემოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
- 19.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდა 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს

სასამართლოს, თუხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების ენა

20.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი იტარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

21.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი სეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია სეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის იმ პირობით, რომ სეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის მეშვეობით.

21.2. სეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მიღების დღეს ან სეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

22. გადასახადები და ბაჟი

22.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

22.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

მიმწოდებელი

1. პრეტენდენტის იურიდიული ფორმის დასახელება;
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
3. პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
4. საიდენტიფიკაციო კოდი;
5. ბანკის კოდი;
6. ანგარიშის ნომერი;
7. პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;
8. ელექტრონული მისამართი;
9. პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი.

მიწის საერთო ფართი : 1326 კვ.მ;

შენობის ფართი: არანაკლებ 1300 კვ.მ. და არაუმეტეს 1500 კვ.მეტრისა;

შენობის სართულების რაოდენობა: 3 სართული.

ეზო:

1. დამხმარე შენობა-ნაგებობა (დაახლოებით ფართი 35 კვ.მ.);
2. პარკინგი - საერთო;
3. პარკინგიშენობის უკანა მხარეს - თანამშრომლებისათვის, რომელიც იქნება გადახურული მსუბუქი კონსტრუქციით;
4. დარჩენილ ფართზე უნდა მოეწყოს გამწვანებული ეზო (პარკი).

პირველი სართული

	პირველი სართული	თანამშრომლების რაოდენობა ოთახების მიხედვით	დაახლოებითი ფართი (კვ.მ)
1	ფრონტი(ჭერი არანაკლენ 5 მეტრისა)	9	36
2	მოსაცდელიდარბაზი(ჭერი არანაკლენ 5 მეტრისა)	40	60
3	საბანკო მომსახურების ფართი	2	8
4	სწრაფი მომსახურების ობიექტებისთვის ფართობი (ფოტოდასხვა)		
5	კანცელარია	2	8
6	დაცვის მაგდის ფართი შესასვლელთან	2	4
7	საპირფარეშო მომხმარებლებისთვის	4	16
8	სასადილო	10	40
9	საპირფარეშო თანამშრომლებისთვის	4	16
10	მეზღვაურთა დეპარტამენტის არქივი		25
1	გემების რეგისტრაციის სამმართველო	7	35
2	დროშის კონტროლის სამმართველო	6	25
3	გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი	1	12
1	მეზღვაურთა სერთიფიცირების სამმართველო	7	28
2	მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო	5	20
3	მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი	1	12
1	ფინანსებისა და შესყიდვების სამმართველო	9	36
1	საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი	11	44
2	საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი	1	12
1	კომპიუტერული ტესტირების ოთახი	10	20
1	მეზღვაურთა გასაუბრების ოთახი (მინი სათათბირო)	10	25
			482

მეორე სართული

	მეორე სართული	თანამშრომლების რაოდენობა ოთახების მიხედვით	დაახლოებითი ფართი (კვ.მ)
1	ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამმართველო და ლონისძიების ორგანიზატორი	5	24
2		1	
3	მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო	6	24
	სერვერის ოთახი (ოთახი კონდიცირებით)	2	10
	IT-ს ოთახი	2	8
	საწყობი		30
4	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	1	12
1	იურიდიული სამმართველო	6	24
2	საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველო;	5	24
	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	1	
3	იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი	1	12
1	ანალიტიკური სამსახური	4	16
2	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	4	16
1	დირექტორის მრჩეველი(მოსასვენებელი ოთახით და სველი წერტილით)	1	30
2	დირექტორის მრჩეველი (სველი წერტილით)		20
1	დირექტორის მოადგილე (სველიწერტილით)	1	25
2	დირექტორის მოადგილე (სველიწერტილით)	1	25
3	პირველიმოადგილე + სველიწერტილი	1	25
5	დირექტორი ა. მისაღები-მოსაცდელი, სადაც განთავსდება 2 თანამშემწე; ბ. სამუშაო კაბინეტი; გ. მინი სათათბირო - 10 კაციანი; დ. მოსასვენებელი ოთახი; ე. სველი წერტილი.	1+2 თანამშემწე	100

1	საიდუმლოთაბი (ოთახს უნდა გააჩნდეს რკინის კარი; უნდა იყოს იზოლირებული; არ უნდა გააჩნდეს ფანჯარა)		12
1	საპირფარეშო	4	
	ჯამი		437

მესამე სართული

	მესამე სართული	თანამშრომლების რაოდენობა ოთახების მიხედვით	დაახლოებითი ფართი (კვ.მ)
1	საზღვაოსამაშველო-საკოორდინაციოცენტრი: ა. ოთახი უფროსისთვის; ბ. სამორიგეო ოთახი; გ. ავარიული სათათბირო ცენტრი; დ. აკუმულატორებისა და დანადგარების ოთახი განცალკევებით;	4	100
2	საპირფარეშო	4	
3	საკონფერენციო დარბაზი	30	80
4	მინი სამზარეულოს კუთხე - სადაც შესაძლებელი იქნება კოფე-ბრეიკების მოწყობა		5
5	ტერასა (საკონფერენციოდარბაზთან)	25	80
6			
1	არქივი	20	80
	ჯამი		345
	სახურავი - III სართულიდან შიდა, ნორმალური ზომების კიბით შესაძლებელი უნდა იყოს შენობის სახურავზე გადაადგილება, სადაც განთავსებული იქნება საანტენო დანადგარები, ანძრები და ღია ტიპის ვერანდა-სახურავი. იგი უნდა იყოს სწორი ზედაპირის, ირგვლივ მინიმუმ 1 მეტრიანი პარაპეტით და მეტალის მოაჯირით. სახურავზე განლაგდება „მაჩტის“ ან „შპილის“ მსგავსი კონსტრუქცია, ჩამჯდარი შენობის მთლიან არქიტექტურაში. აღნიშნული კონსტრუქცია მოგვცემს საშუალებას მივაღწიოთ საანტენო მოწყობილობების მაქსიმალური მოქმედების სიშორეს		

ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ

N	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის მიხედვით)	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეული მომსახურების ღირებულება
1				
2				
...				
წელი				
1				
2				
...				
წელი				
1				
2				
...				
წელი				

N	მომსახურებისდასახელება (თითოეულიობიექტისმიხედვით)	შემსყიდველისდასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	გაწეულიმომსახ ურების ღირებულე ბა
1				
2				
...				
წელი (2014წლის15 ივლისამდე)				

პრეტენდენტისხელმოწერა_____











